ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ო ქ მ ი №01-06/12

დაბა ქედა, 17 აგვისტო, 2022 წელი

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე;
სხდომა დამთავრდა: 12:45 საათზე.

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან ესწრებოდა 14.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ვაჟა აბულაძე - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ამირან წულუკიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
დავით სირაბიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მზია ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ირაკლი მახარაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა ჟღენტი - საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
ლევან ვერძაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
ჯიმშერ სამნიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ჰამიდა ზოიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/12 რიგგარეშე სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

17 აგვისტო, 2022 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	—
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	—
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	—
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	—
14	მზია ბოლქვაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	—
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	—
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	—

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ დასამტკიცებლად წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 აგვისტოს №01-06/12 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

2. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ადმინისტრაციული
სამსახურის უფროსი: ბადრი სურმანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ - „ქედის ისტორიული მუზეუმი“- სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უვადო უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების შპს „ქედის კომუნალურსერვისი“- სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უვადო უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილ დღის წესრიგს კენჭი უყარა.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 3 (დავით სირაბიძე, ირაკლი მახარაძე, გოჩა ჟღენტი)

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 აგვისტოს №01-06/12 რიგგარეშე სხდომის წარმოდგენილი დღის წესრიგი.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ გააკეთა განცხადება და აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის საკრებულო, საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, ხოლო ბიუჯეტი არის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - დადგენილება, ამიტომ მასზე უნდა ხდებოდეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყება, მისივე განცხადებით (ფრაქციის აზრით) ,,ბიუჯეტი არის ხალხის და მათ უნდა შეძლონ საკუთარი წინადადებების წარმოდგენა. ასევე დავით სირაბიძემ განაცხადა, რომ მისთვის პირველი შემთხვევა იყო, რომ არ ხდებოდა ფრაქციებსა და კომისიებში ბიუჯეტის განხილვა. ასევე აღნიშნა, რომ 2022 წელს ჩატარებულ სხდომებზე განხილული იყო 42 საკითხი, აქედან 36 იყო მერიიდან შემოსული და 6 საკრებულოს მიერ ინიცირებული (ექვსიდან 2 ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"ს მიერ ინიცირებული და 4 საკრებულოს უმრავლესობის მიერ ინიცირებული, რომელიც ეხებოდა საშტატოს და სარგოებს), თუ ასე გაგრძელდებოდა მუშაობა მალე მერია გამოუცხადებდა საკრებულოს, რომ არის უმოქმედო და მოითხოვს მის ლიკვიდაციას".

საკრებულოს თავჯდომარემ განმარტა, რომ ბიურო განსაზღვრავს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ვადებს და აუცილებლობიდან გამომდინარე შესაძლებელია საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გარეშე მისი სხდომაზე გატანა.

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი მახარაძემ კი შეკითხვით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს თუ რატომ არ ხდებოდა ა(ა)იპ -ებსა და შპს-ებში ხელფასების მატება?

დავით სირაბიძემ განაცხადა, რომ ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"კენჭისყრის პროცესში მონაწილეობას არ მიიღებდა და მხარს არ დაუჭერდა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების გარეშე 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიში ცვლილებებს, ამიტომ პროტესტის ნიშნად დავით სირაბიძემ და ირაკლი მახარაძემ სხდომა დატოვეს (12:15 სთ).

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რეზო თურმანიძემ აღნიშნა, რომ ფარქცია ნაციონალური მოძრაობის წევრები მხოლოდ დემაგოგიური საუბრით გამოიირჩევიან და არც კი აინტერესებთ მათ მიერ დასმულ კითხვებზე პასუხი მოისმინონ, კითხვის დასმა და სხდომიდან გასვლა ნამდვილად არ წარმოადგენს საკითხბეის მიმართ გულწრფელ ინტერესს.

საკრებულოს თავმჯდომარის ამირან ცინცაძის განცხადებით მუნიციპალურ ა(ა)იპ-ებსა და შპს-ებში დასაქმებულებზე ხელფასების მომატება დაგეგმილია და აუცილებლად მოემატებოდათ.

1. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა ჯემალ ტაკიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და

განმარტა, რომ წარმოდგენილია ცვლილებების რეესტრი, რომლიც წარმოდგენილია საკრებულოში მიმდინარე წლის 11 აგვისტოს, სესაბამისად ყველა მხარეს ქონდა შესაძლებლობა შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენისათვის (განცხადების ნომერი: 12-95222231-95; განცხადების თარიღი: 11.08.2022 10:39):

ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შესატანი ცვლილების რეესტრი

№	პროგრამული კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	თანხა -/+	შენიშვნა
1		დამატებითი ღირებულების გადასახადი	897,435	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 25.07.2022 წლის #04-03/68509
2		ქონების გადასახადი	90,000	
3		პროცენტები	39,965	
4	02 02 01 06	ზვარის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ კვაშტაში წყლის სისტემის მოწყობა	54,800	
5	05 01 04 04	სოფელ ვაიოში სპორტული მოედნის მიმდებარედ სპორტული ატრაქციონის მოწყობა	40,000	აღნიშნული ღონისძიება ხორციელდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებისა და მასში შემავალი სოფლების ცენტრების კეთილმოწყობის ღონისძიებიდან
6	02 05 03	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ეფექტური დაცვა გარეული ცხოველებისგან ,,ელექტრო ღობე"	30,000	
ჯამი			1,152,200	
№	პროგრამული კოდი	ასიგნებების დასახელება	თანხა +/-	შენიშვნა
1	01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	22,000	შრომის ანაზღაურება
2	01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	175,500	სხვა ხარჯი, შრომის ანაზღაურება, შტატგარეშე , ა.ფ აქტივი 41200 მერიის შენობაში არსებული საპირფარეშოების რემონტი. საქონელი და მომსახურეობა
3	01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	3,000	შრომის ანაზღაურება
4	05 02 01	ა.ა.ი.პ ქედის კულტურის ცენტრი	64,700	შრომის ანაზღაურება, შტატგარეშე, მივლინება, წარმომადგენლობა, ელექტროენერგია, ტრანსპორტის

				ხარჯი.
5	05 02 03	ა.ა.ი.პ. ,,ქედის ისტორიული მუზეუმი"	9,900	შრომის ანაზღაურება, შტატგარეშე
6	05 01 01	ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლა	53,100	შრომის ანაზღაურება, შტატგარეშე, საქონელი და მომსახურეობა, არაფინანსური აქტივები, მწვრთნელების და სპორტსმენების ჯილდო, მუხლებს შორის დაზუსტება საქონელი და მომსახურებან სხვა ხარჯი 14 000 ლარი.
7	05 02 02	ა.ა.ი.პ. ,,ქედის სახელოვნებო სკოლა"	10,000	შრომის ანაზღაურება, შტატგარეშე,
8	04 01 01	ა.ა.ი.პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება	36,500	შრომის ანაზღაურება , მუხლებს შორის საქონელი და მომსახურეობიდან შრომის ანაზღაურებაში 47 500 ლარი.).
9	05 01 03 02	შპს სარაგბო კლუბი ფირალები	46,500	სუბსიდია
10	05 01 03 01	შპს საფეხბურთო კლუბი ბეთლემი	60,000	სუბსიდია
11	02 07	შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი	20,500	სუბსიდია
12	02 03 03 02	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებისა და მასში შემავალი სოფლების ცენტრების კეთილმოწყობა	470,000	სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ფანჩატურების მშენებლობა
13	02 03 03 08	დაბის ტერიტორიის კეთილმოწყობა	52,000	თამარ მეფის ქუჩის ტერიტორიის მოწყობა
14	02 03 01 07	სოფელ გარეტყეში სოფლის სახლის მშენებლობა	25,000	არაფინანსური აქტივები (თანხის შევსება)
15	06 02 09	ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლებით შეცვლის პროგრამა	13,000	არაფინანსური აქტივები (თანხის შევსება)
16	02 02 02	შპს ქედის წყალკანალი	90,500	სუბსიდია
ასიგნებების ჯამი			1,152,200	X

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ცვლილების პროექტის საკრებულოში წარმოდგენის შემდეგ, ახალი გარემოებების გათვალისწინებით ქედის მუნიციპალიტეტის მერი შემოდის წინადადებით, არსებულ ცვლილებებს დაემატოს დამატებით რეესტრით წარმოდგენილი ცვლილება და მიმართა თავმჯდომარეს კენჭისყრის პროცესში არსებული დამატებით ცვლილების გათვალისწინება:

ბიუჯეტის ცვლილების დამატებითი რეესტრი

№	პროგრამული კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	თანხა -/+	შენიშვნა
1	02 02 01 04	სს ,,აჭარის წყლის ალიანსის" საწესდებო კაპიტალის შენატანი	10,000	ეკონომია
ჯამი			10,000	
№	პროგრამული კოდი	ასიგნებების დასახელება	თანხა +/-	შენიშვნა
1	06 01 05	ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება	10,000	მოქალაქეების გაზრდილი მოთხოვნიდან გამომდინარე პროგრამაში საჭიროა თანხის დამატება
ასიგნებების ჯამი			10,000	X

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა გოჩა ჟღენტმა კითხვით მიმართა მომხსენებელს ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლებით შეცვლის პროგრამაში არსებული თანხა 13000 ლარი ძალიან ცოტა ხომ არ იყო სახლის შესაძენად?

ჯემალ ტაკიძემ აღნიშნა, რომ ხდება ამ თანხის დამატება და საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ჯდებოდა 45000 ლარი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს დამატებით ცვლილების გათვალიწინებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

(დადგენილება N:დ-95.95222291, 17.08.2022 წელი).

2. **მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებელმა ბადრი სურმანიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: 12-95222212-95, 09.08.2022 წელი) და განმარტა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილება შეიტანოს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ინიციატივისა და მოთხოვნის საფუძველზე. აქედან გამომდინარე სწორედ წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის შესაბამისად ხდება ზემოთაღნიშნულ დადგენილებით დამტკიცებულ დანართით განსაზღვრულ თანამდებობრივი სარგოში და კატეგორიებში ცვლილების შეტანა, რომელიც წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად ახლიდან ჩამოყალიბდა.

საჯარო მოხელის თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრა ხდება „საჯარო დაწესებულებაში შრომითი ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 დანართში ასახულ სახელფასო კოეფიციენტის გამრავლებით „2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად განსაზღვრულ საბაზისო განაკვეთზე (1100 ლარზე) შესაბამისად:

I რანგი – დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამსახურის უფროსი -9 თანამშრომელი) სახელფასო კოეფიციენტის ოდენობა მე-3 სვეტის - კოეფიციენტი 1.5-ის (რა შემთხვევაშიც საბაზისო განაკვეთზე გამრავლებით თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1650 ლარს), ნაცვლად განისაზღვრა მე-5 სვეტის - კოეფიციენტი 2.0-ით, რაც მისი საბაზისო განაკვეთზე გამრავლებით (2.0 X 1100 = 2200) თანამდებობრივი სარგო შეადგენს 2200 ლარს.

II რანგი – მეორადი დაწესებულების სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი 14 თანამშრომელი) სახელფასო კოეფიციენტის ოდენობა მე-3 სვეტის - კოეფიციენტი 1.2-ის (რა შემთხვევაშიც საბაზისო განაკვეთზე გამრავლებით თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1320 ლარს), ნაცვლად განისაზღვრა მე-5 სვეტის - კოეფიციენტი 1.6-ით, რაც მისი საბაზისო განაკვეთზე გამრავლებით (1.6 X 1100 = 1760) თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1760 ლარს.

III რანგის - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (2 თანამშრომელი) სახელფასო კოეფიციენტის ოდენობა მე-5 სვეტის - კოეფიციენტი 1.1-ის (რა შემთხვევაშიც საბაზისო განაკვეთზე გამრავლებით თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1210 ლარს), ნაცვლად განისაზღვრა მე-6 სვეტის - კოეფიციენტი 1.3-ით, რაც მისი საბაზისო განაკვეთზე გამრავლებით (1.3 X 1100 = 1430) თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1430 ლარს.

III რანგის - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (9 თანამშრომელი) სახელფასო კოეფიციენტის ოდენობა მე-4 სვეტის - კოეფიციენტი 1.0-ის (რა შემთხვევაშიც საბაზისო განაკვეთზე გამრავლებით თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1110 ლარს), ნაცვლად განისაზღვრა მე-6 სვეტის - კოეფიციენტი 1.3-ით, რაც მისი საბაზისო განაკვეთზე გამრავლებით (1.3 X 1100 = 1430) თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1430 ლარს.

III რანგის - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (27 თანამშრომელი) სახელფასო კოეფიციენტის ოდენობა მე-5 სვეტის - კოეფიციენტი 0.8-ის (რა შემთხვევაშიც საბაზისო განაკვეთზე გამრავლებით თანამდებობრივი სარგო შეადგენს 880 ლარს), ნაცვლად

განისაზღვრა მე-7 სვეტის - კოეფიციენტი 1.2-ით, რაც მისი საბაზისო განაკვეთზე გამრავლებით (1.2 X 1100 = 1320) თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1320 ლარს.

ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოებში განხორციელდა შემდეგი ცვლილება კერძოდ:

- მერის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულში (10 თანამშრომელი) თანამდებობრივი სარგოს 990 ლარის ნაცვლად განისაზღვრა 1300 ლარის ოდენობით.

- სპეციალისტი ადმინისტრაციულ ერთეულში (22 თანამშრომელი) თანამდებობრივი სარგოს 715 ლარის ნაცვლად განისაზღვრა 1000 ლარის ოდენობით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0.

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება N:დ-95.95222292, 17.08.2022 წელი).

3. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ - „ქედის ისტორიული მუზეუმი"- სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უვადო უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ - „ქედის ისტორიული მუზეუმი"- სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უვადო უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: 12-95222172-95, 05.08.2022 წელი) და განმარტა, რომ წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის პროექტის შესაბამისად ხდება ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების (კერძოდ: ფრიდონ ხალვაშის სახლ-მუზეუმისათვის შეძენილი აპარატურა (კინოთეატრი), სხვადასხვა დასახელების მოწყობილობები და აქსესუარები) ა(ა)იპ - „ქედის ისტორიული მუზეუმი"- სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უვადოთ (მისი არსებობის ვადით), უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95.95222292, 17.08.2022 წელი).

4. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების შპს ,,ქედის კომუნალურსერვისი"- სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უვადო უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების შპს ,,ქედის კომუნალურსერვისი"- სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უვადო უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: 12-95222171-95, 05.08.2022 წელი) და განმარტა, რომ მიმდინარე წელში 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით შესყიდული იქნა 33 (ოცდაცამეტი) ცალი 1100 ლიტრიანი პლასტმასის ნაგავშემკრები ბორბლებიანი კონტეინერი. რომლის ღირებულება (ერთეულის) შეადგენს 900 (ცხრაასი) ლარს, ჯამში 29 700 (ოცდაცხრა ათას შვიდასი) ლარს. მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების და გატანის მიზნით, მიზანშეწონილია ნაგავშემკრები ბორბლებიანი კონტეინერები შემდგომი გამოყენებისათვის გადაეცეს შპს „ქედის კომუნალურსერვის"-ს.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95.95222291, 17.08.2022 წელი).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 12 :45 სთ-ზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ამირან ცინცაძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ჰამიდა ზოიძე